საქართველოს საელჩო
ქ. ვაშინგტონი
EMBASSY OF GEORGIA
WASHINGTON D.C.

3521-13-3-201701260333

№ 3521-13
26/01/2017

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს
ბატონ მიხეილ ჯანელიძეს

ბატონო მიხეილ,

როგორც მოგეხსენებათ გასული წლის განმავლობაში საქართველოში ჰეპატიტების საერთაშორისო ფონდის (Hepatitis Foundation International) წარმომადგენლობის გახსნასთან დაკავშირებით საქართველოს საელჩომ ფონდის ხელმძღვანელობასთან მთელი რიგი შეხვედრები გამართა. ჰეპატიტების საერთაშორისო ფონდი 23 წელია არსებობს და მისი დახმარებით მილიონობით ადამიანმა მიიღო დახმარება როგორც აშშ-ში, ასევე აშშ-ს გარეთ. აღნიშნულ საკითხზე საქართველოს საელჩომ ფონდს თხოვნით პირველად 2016 წლის ოქტომბერში მიმართა. 2016 წლის 16 დეკემბერს ფონდის დირექტორის ინიციატივით საქართველოს საელჩოში დაიგეგმა ტექნიკური შეხვედრა. შეხვედრას ესწრებოდნენ ფონდის დირექტორი ივონ კამერონი, ფონდის ვიცე პრეზიდენტი დეინ ქრისტიანსენი, სამეცნიერო კვლევითი დეპარტამენტის დირექტორი ანა სანერი, ფონდის მთავარი მრჩეველი ჯეიმს სმითი და საქართველოს საელჩოს მრჩეველი თამარ ჭელიძე.

აღნიშნული შეხვედრა საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის მიმოხილვით დაიწყო, რომელსაც პროექტის განხილვა და მიმდინარე პროგრესზე დისკუსია მოჰყვა. ქალბატონმა ივონემ აღნიშნა, რომ საელჩოსთან შეხვედრების შემდეგ მათ დეტალურად შეისწავლეს საქართველო და იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყანა სტაბილურობით და თანამედროვე სტანდარტებით დაცული კლინიკებით გამოირჩევა გადაწყვეტილება მიიღო წარმომადგენლობის გახსნასთან დაკავშირებით. ქ-ნ ივონემ ასევე კონფიდენციალურად გაგვიზიარა, რომ საქართველოს ფილიალს სავარაუდოდ ანა კირთავა უხელმძღვანელებს. ანა კირთავა აშშ-ს დაავადებათა კონტროლის ცენტრის თანამშრომელია და მას შემდეგ რაც შეიტყო ამ ინიციატივის შესახებ სურვილი გამოთქვა უხელმძღვანელოს საქართველოში აღნიშნულ ფონდს.

ფონდის ვიცე პრეზიდენტმა დეინ ქრისტიანსენმა აღნიშნა, რომ 2017 წლის მარტში აშშ-ს დაავადებათა კონტროლის ცენტრის მიერ დაგეგმილ კონფერენციის ფარგლებში მას შესაძლებლობა ექნება შეხვდეს აშშ-ს დაავადებათა კონტროლის ჰეპატიტიების დეპარტამენტის დირექტორს ჯონ ვორდს. ის გეგმავს გაესაუბროს ჯონს აღნიშნულ ინიციატივასთან დაკავშირებით. დეინმა ასევე გამოთქვა სურვილი აშშ-ს კონგრესთან განიხილოს საქართველოში

1824 R Street NW. Washington, D.C. 20009
ტელ./Tel: +1 (202) 387-2390; ფაქსი/Fax: +1 (202) 387-0864; ელ-ფოსტა/E-mail: embgeo.usa@mfa.gov.ge

C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში დამატებითი რესურსების მობილიზაციის შესაძლებლობა.

შეხვედრიდან რამდენიმე კვირაში ფონდის ხელმძღვანელობამ საელჩოს პირველადი ხელშეკრულების სამუშაო ვერსია და კითხვარი მიაწოდა (იხ. დანართი).

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის დეპარტამენტს წერილის ასლი მიაწოდოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს ბატონ ვალერი კვარაცხელიას და საქართველოს დაავადებათა ეროვნული კონტროლის ცენტრის დირექტორს ბატონ ამირან გამყრელიძეს. საელჩო დაელოდება შესაბამის ინსტრუქციას შემდეგი ნაბიჯების გადადგმის მიზნით.

დანართი: 7 გვერდი

პატივისცემით,

პატივისცემით,
დავით ბაქრაძე

საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი